



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



დადგენილება:დ-87.87220961

თარიღი:06/04/2022

დადგენილება №28

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/03/2022; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.162.016562) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის 17¹ მუხლი:

„მუხლი 17¹. საკრებულოს თანამდებობის პირის შვებულება. საკრებულოს წევრის სამსახურებრივი მივლინება

1. საკრებულოს თანამდებობის პირს შვებულება ეძლევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 62-ე და 64-ე მუხლებით დადგენილი წესით. შვებულების პერიოდში საკრებულოს თანამდებობის პირს უნერდება უფლებამოსილება.
2. საკრებულოს წევრის (მათ შორის, თანამდებობის პირის) ქვეყნის ფარგლებში და მისი ფარგლების გარეთ მივლინებით გაგზავნის, მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობა და პირობები, აგრეთვე მასთან დაკავშირებული სხვა სოციალური გარანტიები განსაზღვრულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით და „პროფესიული საჯარო მოხელის მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებით.
3. საკრებულოს თავმჯდომარის შვებულებისა და სამსახურებრივი მივლინების საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო, ხოლო საკრებულოს სხვა წევრების (მათ შორის, თანამდებობის პირების) მიმართ - საკრებულოს თავმჯდომარე.
4. საკრებულოს თავმჯდომარის შვებულებისა და სამსახურებრივი მივლინების საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება მოწვეულ იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სსდომა.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

